საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/211-2007 „25" დეკემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმა - მანტია დანართის მიხედვით.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს №459 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბერი № 1/211-2007
გადაწყვეტილებით

მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის - მანტიის აღწერილობა

სასამართლოში საქმის განხილვაში მოსამართლე მონაწილეობს განსაკუთრებული ჩაცმულობით - მანტიით.

მანტია უსარჩულოა, სწორი სილუეტი თავისუფალი ფორმისაა, საყელოში ჩაკერებული აქვს მოსასხამი - ე.წ. „პერელინა", რომელსაც აქვს მუქი შინდისფერი სარჩული. მანტიის სიგრძე ფეხსაცმლის ქუსლამდეა, იატაკს დაცილებულია 7-8 სანტიმეტრით.

მანტიას აქვს პატარა სწორი საყელო. კალთები შიგნიდან იკვრება მალული „დასაწებებელი" შესაკრავებით. გვერდის ნაკერები ორივე მხარეს შეხსნილია.

მანტიის ფერი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთათვის - შავი;

სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთათვის - მუქი მწვანე;

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთათვის - მუქი შინდისფერი.

ქალებისათვის მანტიას უკეთდება მოსახსნელი „ჟაბოს" ტიპის აბრეშუმის თეთრი საყელო.